

6 ნოემბერი 2018 წელი
ხაშური

სხდომის თავმჯდომარე- საკრებულოს თავმჯდომარე - მიხეილ ჯანაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ზურაბ ნოზაძე, გიორგი ბერაია, ლევან გამრეკელი, დავით გარადინსკი, ირინე გელაშვილი, დავით გელაშვილი, ელგუჯა გოგალაძე, ირინე გრიგალაშვილი, შავლეგო დოლიძე, მიხეილ კაპანაძე, ნატო კიკაძე, ელზა კიკაძე, ლაშა ლუსმანაშვილი, გურამ მაზიაშვილი, მაყვალა მასურაძე, იმედა მეტრეველი, ემზარ მურჯიკნელი, ცოტნე ნოზაძე, ალექსანდრე სიმონიშვილი, ნოვე ტაბატაძე, ზვიად ტეფნაძე, აკაკი ჩიტაძე, მერაბ ცხოვრებაძე, მამუკა წიქარიშვილი, ანა ხარებავა, ვაჟა ხარშილაძე.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი დავით კიკნაძე; ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი სერგო ლალიაშვილი, განათლებისა და კულტურის გაყოფილების უფროსი გიორგი კერესელიძე, საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების უფროსი სპეციალისტი ნუგზარ გოცირიძე; ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ოთარ მახარაშვილი.

სხდომის თავმჯდომარე მიხეილ ჯანაშვილი მიესალმა საკრებულოს წევრებს. მან საკრებულოს რიგით 23-ე სხდომა გახსნილად გამოაცხადა 15:00 საათზე და მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე - საკრებულოს 31 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 26 წევრმა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. დღის წესრიგის გაცნობამდე საკრებულოს წევრებს მოუწოდა, სხდომის მიმდინარეობისას, რეგლამენტით გათვალისწინებული პროცედურული ნორმებისა და წესრიგის დაცვისაკენ. შემდეგ საკრებულოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგი:

1) „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ 2018 წელს განსახორციელებელი სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამების დამტკიცების თაობაზე“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №137 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

2) პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურისთვის N50 საუბნო საარჩევნო კომისიის განსათავსებლად ფართის ქირავნობის თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

3) ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 თებერვლის „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ N12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

4) ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლისთვის“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

5) ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

6) ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2018 წლის 10 თვეში გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ

7) ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების გაცნობის შემდეგ დღის წესრიგის პროექტს კენჭი უყარა:

მომხრე - 26

წინააღმდეგი - არცერთი

(დანართი თან ერთვის)

მოისმინეს:

1) „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ 2018 წელს განსახორციელებელი სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების პროგრამების დამტკიცების თაობაზე“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 15 დეკემბრის №137 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხსენებელი - მიხეილ ჯანაშვილი

თანამომხსენებელი - გიორგი კერესელიძე

განათლებისა და კულტურის გაყოფილების უფროსის გიორგი კერესელიძის ინფორმაციით, პროექტის მიღების მიზნებს წარმოადგენს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის პროგრამაში ცვლილებების შეტანა, კერძოდ: სპორტულ ღონისძიებათა პროგრამაში – ქართული ჭიდაობის, სამბოს, ჩოგბურთის, კალათბურთის, საშინაო მატჩებზე ბორჯომის სტადიონის იჯარის, ფეხბურთის (2003წ), (2005წ), სპორტსმენების საჭიროების შემთხვევაში მედიკამენტების უზრუნველყოფის, სხვადასხვა სახის ინვენტარის მუხლებიდან გამოთავისუფლებული თანხების, სულ 5 487 ლარის, ამავე პროგრამის "სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველყოფა და საჭიროების შემთხვევაში ფასიანი საჩუქრების გადაცემის" მუხლში გადანაცვლება, აგრეთვე კულტურის პროგრამაში „5 ოქტომბრის მასწავლებლის დღის აღსანიშნავი ღონისძიების ორგანიზება და მათთვის ფასიანი საჩუქრების გადაცემის“ მუხლიდან 850 ლარის ამავე პროგრამის "სხვადასხვა დონის დაუგეგმავი კულტურული ღონისძიებების ჩატარება და საჭიროების შემთხვევაში ფასიანი საჩუქრების გადაცემის" მუხლში თანხის განაცვლება.

აზრი გამოთქვას: ირინე გელაშვილმა, ანა ხარებავამ, მიხეილ ჯანაშვილმა.

ხმათა უმრავლესობით განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება ოქმს თან ერთვის)

(მომხრე 26, წინააღმდეგი 0)

2) პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურისთვის 50 საუბნო საარჩევნო კომისიის განსათავსებლად ფართის ქირავნობის თაობაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელი - მიხეილ ჯანაშვილი

თანამომხსენებელი - სერგო ლალიაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსის სერგო ლალიაშვილის ინფორმაციით, პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურის ჩასატარებლად საარჩევნო კანონმდებლობის გათვალისწინებით, არჩევნებში მონაწილეობისათვის სათანადო პირობების შექმნის მიზნით, საჭირო გახდა N50 -ე საუბნო საარჩევნო კომისიის განსათავსებლად ფართის ქირავნობა.

აზრი გამოთქვას: ზვიად ტეფნაძემ, მამუკა წიქარიშვილმა, მიხეილ ჯანაშვილმა.

ხმათა უმრავლესობით განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება ოქმს თან ერთვის)

(მომხრე 26, წინააღმდეგი 0)

3) ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 თებერვლის „ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ N12 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
მომხსენებელი - მიხეილ ჯანაშვილი
თანამომხსენებელი - სერგო ლალიაშვილი

სერგო ლალიაშვილის ინფორმაციით, ხაშურის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი მითითებული მიწის ნაკვეთის რაიმე მიზნით გამოყენება, ხოლო ამ ტერიტორიის პრივატიზების შედეგად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შეივსება მისი ღირებულების შესაბამისი თანხით, აქედან გამომდინარე ხაშურის მუნიციპალიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია მოხდეს აღნიშნული მიწის ნაკვეთის პრივატიზება.

აზრი გამოთქვას: ზვიად ტეფნაძემ, დავით გელაშვილმა, მიხეილ ჯანაშვილმა.

ხმათა უმრავლესობით განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება ოქმს თან ერთვის)

(მომხრე 26, წინააღმდეგი 0)

4) ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლისთვის“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელი - მიხეილ ჯანაშვილი

თანამომხსენებელი - სერგო ლალიაშვილი

სერგო ლალიაშვილის ინფორმაციით, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხაშურში, იმერეთის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონება (ს.კ 69.08.59.197) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით, გადასცეს ა(ა)იპ სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების ხაშურის კომპლექსურ სასპორტო სკოლას (ს.ნ 243916143), რათა ა(ა)იპ-ს ჰქონდეს შესაძლებლობა ისარგებლოს აღნიშნული უძრავი ქონებით, წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად.

აზრი გამოთქვას: ზვიად ტეფნაძემ, იმედო მეტრეველმა, მიხეილ ჯანაშვილმა.

ხმათა უმრავლესობით განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება ოქმს თან ერთვის)

(მომხრე 26, წინააღმდეგი 0)

5) ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი - მიხეილ ჯანაშვილი

თანამომხსენებელი - სერგო ლალიაშვილი

სერგო ლალიაშვილის ინფორმაციით, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2018 წლის 6 თებერვლის №12 განკარგულებით დამტკიცა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა, მათ შორის ხაშურში, იმერეთის ქუჩაზე მდებარე (ს/კ69.08.60.366) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ნუსხის დამტკიცების შემდგომ უნდა მოხდეს პრივატიზაციის გეგმის დამტკიცება, რათა მუნიციპალიტეტმა შეძლოს ამ ობიექტის პრივატიზება. ობიექტების პრივატიზებისას გათვალისწინებულ იქნება ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები.

აზრი გამოთქვას: ზვიად ტეფნაძემ, იმედო მეტრეველმა, მიხეილ ჯანაშვილმა.

ხმათა უმრავლესობით განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება ოქმს თან ერთვის)

(მომხრე 26, წინააღმდეგი 0)

6) ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2018 წლის 10 თვეში გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ

ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ოთარ მახარაშვილმა წარმოადგინა ანგარიში ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2018 წლის 10 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

აზრი გამოთქვას: ანა ხარებავამ, დავით გელაშვილმა, მიხეილ ჯანაშვილმა.

ხმათა უმრავლესობით განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება ოქმს თან ერთვის)

(მომხრე 26, წინააღმდეგი 0)

წარმოდგენილი ანგარიში შეფასდა დადებითად.

7) ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ

საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილების უფროსმა სპეციალისტმა ნუგზარ გოცირიძემ წარმოადგინა ანგარიში ხაშურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის ცხრა თვის შესრულების შესახებ.

აზრი გამოთქვას: ანა ხარებავამ, მამუკა წიქარიშვილმა, მიხეილ ჯანაშვილმა.

ხმათა უმრავლესობით განკარგულება მიღებულ იქნა

(განკარგულება ოქმს თან ერთვის)

(მომხრე 26, წინააღმდეგი 0)

წარმოდგენილი ანგარიში შეფასდა დადებითად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე

მიხეილ ჯანაშვილი